

# საქართველო

11-85

არ იფიქროთ, რომ აქ ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაზე“ ლაპარაკი!

ისე როგორ გავაძინებოდით, მსოფლიო ლიტერატურის ლომის ბრწყინებულ წევრად ნოდა სელი და უბრწყინებოდ წამოგვედო მისი უკვდავი რომანის სათაური..

ჩვენ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომსა და მის შემდგომ ორმოცწლიან მშვიდობაზე გვაქვს ლაპარაკი, რადგან სიცოცხლის დასაბამიდან მრავალტანჯულ დედამიწაზე გამართული 14 500 ომიდან არც ერთი არ იყო ამ ომზე დიდი და სისხლიანი და არც ასე დიდი და ხანში შესული მშვიდობა ახსოვს გეროპის კონტინენტს..

არადა, ვინ იცის ისე მშვიდობის ფასი, როგორც მშვიდობისათვის მებრძოლმა და მშვიდობისმოყვარე ჩვენმა საბჭოთა ხალხმა და მისი ოჯახის ლეიძლმა წევრმა — **საქართველომ**, სადაც დიდმა და პატარას დღე და ღამე მშვიდობა აკურია პირზე დილა მშვიდობის! შუადღე მშვიდობის! საღამო მშვიდობის! ღამე მშვიდობის!

ღარჩა კიდევ 24 საათში წუთი სოფლისა მშვიდობის გარეშე?! **გამარჯვება და მშვიდობა!**

— აი, ორი სანუკვარი სიტყვა, **გამარჯვებისა და მშვიდობის** ძეგლები რომ დაუდგა ჩვენმა მწერლობამ!

ასე დავემშვიდობებთ დიდ სამამულო ომს, მეორე მსოფლიო ომს, რომელმაც 50 მილიონი კაცი და მათ შორის 20 მილიონი ჩვენი მამა, ძმა, დედა, და ნათესავი და მეგობარი შეიწირა..

მშვიდობაში მოგახმაროთ ჩვენი სიცოცხლე! — მოგვძახიან კავკასიონიდან ბერლინამდე გაბნეული გულმობრუნებული სამხო საფლავებორცვები, რომელთაც პოეტმა **ნოდარ გურაშვილმა** „ოთხი მკაცრი“ ფიცარით შეკრული ოთხი ელვარე სტრიქონით სიცოცხლე დაუბრუნა:


**მზემ ღრუბლის შიშვე ფარდა გახია, აქვე ლაშაში მთა და მდელია..**

**საღამ ქართველი ქაიმი მარხია, — ყველგან პატარა საქართველო!**

დღეს მთელი ჩვენი პლანეტა საბჭოთა ჯარისკაცის ვალშია! 1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის — მსოფლიო პროლეტარია-

## ომი და მშვიდობა

1945 წლის 9 მაისის შედეგ



ტის დიდი ბელადის უკვდავების სასახლის — მავზოლეუმის წინ გამართული დიდი ოქტომბრის 24-ე წლისთავის ზეიმთან პირდაპირ ფრონტზე, ხაკისფერი ჭირის — ფაშისმისაგან კაცობრიობის ცივილიზაციის სხნისათვის. მაცხოვრის კოშკიდან დათვლილი მსოფლიო დროის სმაზე მიმავალ საბჭოთა ჯარისკაცს მიაცილებდა უმაღლესი მთავარსარდლის — **ი. ბ. სტალინის** ისტორიული სიტყვა: „ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება! გამარჯვება ჩვენ დაგვიჩვენა!.. თქვენ წილად გზავთ დიდი განმათავისუფლებელი მისია! მამ, იყავით ამ მისიის ღირსნი!“

ამ თავისიტყვიდან ბოლოთქმამდე გავიდა 1418 ჯერ ართქმული, **ქარი არანახული და ქარი არ-ბამონილი** სისხლის წვიმების დღე და თითქოს გუშინ იყო, ამ დღესაც ზუსტად იგივე ითქვა — მხოლოდ დრო შეიცვალა — ჩვენი საქმე სამართლიანი იყო, მტერი

**განადგურებულია! ჩვენ გავიმარჯვეთ!**

საბჭოთა ჯარისკაცმა შესრულა თავისი ისტორიული განმათავისუფლებელი მისია — მან ფაშისმის უღლისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ განათავისუფლა ევროპის 11 და აზიის ორი ქვეყანა (ჩინეთი, კორეა). მსგავსი გმირობა არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. ამ დღეს ევროპისა და აზიის ყველა ყვავილი, კეთილი ნების ადამიანების ყველა ღიმილი და ლოცვა საბჭოთა ჯარისკაცს ეგებებოდა მის მტერიან და სისხლიან ფრონტულ გზაზე..

თადარიგის გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი **მ. პ. ბორისოვი** იკონებს: „არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ ჩამოვიყიდა მხარზე ერთ საბჭოთა სერჯანტს ცინიდან განათავისუფლებული, ჩონჩხადქცეული, რადიკალთა პარტიის ლიდერი, საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ჟაკ-შარლ პარიო** და ცრემლებით და-

უთხრა: „გამდლობთ შენ, ჯარისკაცი!“

მისი პირით მეორე მსოფლიო ომით გატანჯული ჩვენი პლანეტის მილიარდი ადამიანი ლაღებდა და მიწამდე უხრიდა თავს ჩვენს ჯარისკაცს, იმ მიწამდე, რომელსაც მარტო პატარა საქართველომ იმდენი სიცოცხლე შესწირა (300 000 კაცი), რამდენიც მრავალმილიონიანმა ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა..

ზუსტად 40 წლის წინ — 1945 წლის 9 მაისს შვებით ამოისუნთქა მსოფლიომ და ჩასუნთქვაც ვერ მოახწრო, რომ აქა-იქ უკვე გაისმა სულის შემადრწუნებელი სმები. ისტორიას ვერაფერს გამოაპარებ! ამ დღეს ანტიპიტლერული კოალიციის წარმომადგენელმა, დიდი ბრიტანეთის „ლომმა“, ინგლისის პრემიერ-მინისტრის **უინსტონ ჩერჩილის** პირით თქვა: „მე მტერი ვარ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსი, ისევე, როგორც პიტლერული გერმანიისა, რადგან ეს გერმანული ნაგაზი მას ვერ მიუქსნო. დაედოდი 9 მაისის გამარჯვებით გაბრუნებული ლონდონის ქუჩებში და, სინარულის ნაცვლად, სეუდა მიპყრობდა — კარგია, რომ პიტლერი დამარცხდა, მაგრამ ცუდია, რომ საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა!“

ცოტა უფრო ადრე გამოაშკარავა თავი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ტრუმენმა** პრეზიდენტობამდე ორი ფენის ნაბიჯზე. „ჩვენში დარჩესო“ არ უთქვამს, ისე ხმამაღლა განუცხადა ჟურნალისტებს: „თუ ჩვენ დავინახავთ, რომ გერმანია იმარჯვებს, მაშინ რუსეთს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ თუ რუსეთისაგან გადაიხრება გამარჯვების სასწორი, მაშინ გერმანიას დავეხმარებით! და, ულიტონ მათ ურთმანათი! სწორედ ეს იქნება ჩვენი გამარჯვება!“ 1945 წლის 12 მაისს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავი „ვაშა“ და „ურა“ არ ჩამცხრალიყო, ტრუმენმა საერთაშორისო და ელემენტარული ადამიანური ნორმების დარღვევით გააუქმა ლენდ-ლიზით გათვალისწინებული ყველა მიწოდება ყოფილი მოკავშირისადმი. რომელთანაც მსოფლიო-ისტორიულ ვალში იყო მისი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა და უბრძანა ამერიკის შიდალი შტატების გამეფა!

კურსი, 180 გრანულიყვენერმანული ყვერული საბჭოთა საერთო კანონის



— ამბობენ, ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში ბევრი ძველი ნაცისტიაო...  
— ცილისწამებაა, ბატონებო! ძველი რად გვინდა, ჩვენ ახლებიც გვეოფნის!  
ურუნალი „პ რ ო კ ო ღ ი ლ ი“

(გაგრძელება)

ნი წავიდნენ, წამოვიდნენ და ხსოვნის ნაპირებზე დარჩნენ ქვიშანი — გაჩნდნენ ცივი ომის ახალი უდაბნოები...  
მაგრამ ისტორია ხომ ქვიშაზე არ იწერება, რომ მეორე მსოფლიო ომის ცხრაბალიან ღელვას წაელევა იგი?! ისტორიას ასსოვს, რას წერდა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი **ჟ. სტაინროუსი** „წარსულის უცბად დავიწყება ადამიანის სისუსტეს ნიშნავს. ამერიკულ ხალხს კი უნდა ასსოვდეს რომ 1942 წელს იგი კატასტროფის წინაშე იდგა. საბჭოთა კავშირი რომ არა, გერმანია დაიპყრობდა ინგლისს, აფრიკას და ლათინურ ამერიკასაც“. ისტორიას ასსოვს, რას წერდა ცნობილი ამერიკელი **ქიტონ** წლის ნომერში შემოქმედების მანარტოლი...

პიტლერის ურჩხული ჩაყლაპავს უპირებდა დიდი ბრიტანეთის ლომსაც, ამერიკასაც, აფრიკასაც, ახლო აღმოსავლეთსაც, ინდოეთსაც!.. მისი მოკავშირე — „მზის ამოსვლის“ ქვეყანა — მილიტარისტული იაპონია კი, რომელიც „რაც მიწაზეა, ათი იმდენი მიწის ქვეშაა“, მზის დაბნელებას უპირებდა ჩინეთს, შორეულ აღმოსავლეთს, ციმბირს და ფაშისტურ გერმანიასთან პაემანი დანიშნული ჰქონდა ურალთან! რას უქადავდა მსოფლიოს XX საუკუნის სისხლიან კანიბალთა ეს სისხლიანი პაემანი ურალთან, რომ არ ყოფილიყო ჩვენი ანტიპიტლერული კოალიციის ქვეყნების ისტორიული შეხვედრა ელბაზე?! ამის დავიწყების უფლება მსოფლიოს არა აქვს!  
ვისაც შეუძლია დაივიწყოს, იმას შეუძლია აპატროს კიდევ! მეორე მსოფლიო ომს კი საპატიო მიზეზი არ გააჩნია — იგი ყველაზე მძიმე დანაშაულია, რაც კი დედა-მიწის ზურგზე მომხდარა!..


შეიძლება, ერთმა კაცმა ერთი კაცის დანაშაული დაივიწყოს, მაგრამ მილიარდი ადამიანის წყენის მილიარდჯერ დაიწყება შეუძლებელია და იქნებ არც შეიძლება, რადგან ამის უფლება ავტო არა ცოცხლებს, არამედ ადამიანთა მილიარდებისათვის შეწირულ მილიონებს, რომლებიც მარადიული დუმილით სდუმან, მაგრამ არა — თანხმობის ნიშნად!  
ისტორიული გულმავიწყობა ადვილი მოსალოდნელია, მილიტარისტულ „სკლეროზში“ გადაინჯარდოს, აქედან კი ერთი ნაბიჯია ხალხურ სიბრძნემდე — „ჭუშთან სამარე გაასწორებსო“.  
დასავლეთში ძალზე იოლად ივიწყებენ ისტორიის გაკეთილებებს, რასაც მძიმე გამოცდა ელის სამწუხაროდ, თვალსა და ხელს შუა კარგავს ასაკს ერთი ჩვეულებრივი საბავშვო დიდაქტიკური სანძარსაწინააღმდეგო ლოზუნგი, რომელსაც ქალაქის ბეგრ გზასა და გზაჯვარედინზე მოჰკრავთ თვალს: „ბავშვებს ცეცხლთან ნუ მიუშვებთ!“ მე თუ მკითხავთ, ცეცხლთან თაშაში ყველასათვის საშიშია და მით უფრო — უფროსი ასაკის ადამიანებისათვის! წინააღმდეგ შემთხვევაში, აი, სანამდე შეიძლება მივიდეს „გულმავიწყობა“: 40 წლის მშვიდობისაგან ტრავმირებულმა ერთმა ოქეანის-გადაღმეულმა გენერალმა ოფიციალურად განაცხადა: „ნუ კითხულობთ, რამდენი დრო გავიდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ! იკითხეთ, რამდენი დარჩა შესამე მსოფლიო ომამდე!“  
მოდით ახლა და, ჰკითხეთ ჰუბასეთ ჰუბაზე მწყრალ კაცს! არადა, როგორ სურდა ეფიქრა: სამყაროს, რომ 1945 წლის 9 მაისს ფაშისტმა გაისროლა უკანასკნელი ტყვია, საბოლოოდ დაყარა იარაღი და მასთან მებრძოლი არმიების რიგებში საერთაშორისო ბრძანების — „სმენა!“ — მაგივრად გაისმა ბრძანება — „თავისუფლად!“  
ფელდმარშალმა **მიხტომაროვი** ომის შემდეგ აღიარა, რომ სს-ის რეისსინისტრი **ჰიმლერი** დასავლეთში ეძებდა კონტაქტებს შემდეგი საბაბით: „აღრე თუ გვიან დასავლეთ ვერობას, რუსეთის მეთაურობით, ომი მოუწყავს აზიური ურდოების მარშის შესაჩერებლად!“ და თუ ეს მაშინ ყურად არ იღეს, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ, როგორც ეს **მიხტომაროვი** ვიზნანაჰართან საუბარში „ახსნა“, „იდგა 1945 წელი, ინგლისი ყელამდე იყო მოსული ომისაგან და იგი საბჭოთა კავშირთან ომზე არ დათანხმდებოდა!“  
საშინელი სალუტით აღნიშნა 1945 წლის გამარჯვების ისტორიული ზეიმი ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა**. ეს იყო ყველაზე შავი „ფიგურერკი“ რომელმაც დედამიწას ამცნო სიკვდილის ახალი იარაღის — ატომური ბომბის — დაბადება და მისი შავი „ტრუმენი“ — სიროსიმა და ნავასაკი! ასობით ათასი ადამიანის სიკვდილის მოციქულა — ატომური ბომბს — ამშვენებდა (თუკი იგი რაიმეს შეეძლო და-

ემშვენებინა) არა — სიკვდილის ჩონჩხის გამოსახულება, სელში სიციოცხლის მთიბავი ცელით, არამედ პოლიციული კინოვარსკვლავის რიტა **სემპორტის** მოშლიმარი პორტრეტის...  
სიკვდილისწინა ვახშამზე ხელჩაქნელმა **გარბან გარინგმანს** კი იყვირა ნიურნბერგის პროცესზე: „რა ჩაიდინა ფაშისტმა იმაზე უარესი, რაც სიროსიმა და ნავასაკია!“ „სალონის ნაცისტი“ ამჯერად არ ტყუოდა!..  
ასე დაიწყო ცივი ომი, ცხელის მაგივრად, და მსოფლიო ისევ ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდა ფაშისტის ბაცილა არ მომკვდარა და ახლა იგი უმიჯობს თვალს: შეუიარაღებელი თვალისთვის თვალსაჩინოა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — ვენაში, ოპერის თეატრთან მოკლეს ანტიფაშისტი **პრინს კირკპაპარი**. მკვლელები მიმალვასაც კი არ ცდილან, სხამაღლა გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს ოსვენციმი!“ ბიზნესმენი **ჰილსი პარტი** და კომპანია დღეობებს უსწის სიკვდილის არქიანგელოზ **პიტლერს**!.. გაჩნდა ადოლფ №2 — ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი **ჟონ ტაუნი**. პამპურგში სს-ელების მუნდირში გამოწყობილი დადიან ნეოფაშისტები, რომლებიც თავიანთ წელთაღრიცხვას პიტლერის დაბადების დღიდან ითვლიან და გახვთ „დღონიე ნაციონალ-ცაი ტუნგში“ განცხადებას აქვეყნებენ: „ანტიკომუნისტების კავშირი ეძებს თანამოაზრეებს!“ ლაპარაკია ევრეთ წოდებულ „უხმაურო ომის“ პერსპექტივებზე, ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღზე. ჯერ კიდევ 1947 წლის 7 იანვარს ამერიკული ჟურნალი „ლუკი“ ამტკიცებდა ტოტალური ომის ამ „უპირატესობას“: „ოგი ატომური ომივით ძვირი არ ჯდობს, ბაქტერიები და ვირუსები უფრო იაფია.“ ზუსტადაა გათვალისწინებული ყველაფერი, სამხედრო მრეწველობის თვალსაზრისით, რა დაუჯდება იგი კაცობრიობას, ეს ანგარიშიში არ ითვლება. საოცარი გულანდილობითა და სულგაბრწილობითაა ახსნილი ბოლოვიური ომის „სიკეთე“ ფრანგი მეცნიერის „**პ. რ. შპირონის** მეორე: „თუ კვისლენდის“



— საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შთაბეჭდილებები შავად უკვე დაწერილი მაქვს, გადავთეთრებ და...  
— დატყვევო, გათავა ჩვენ სწორედ შავად გვინტერესებს!  
ურუნალი „ნი ბ ნ გ ი“

ТРОЛЬНЫЕ



რევანშისტები შურნალი „პ რ ო კ ო დ ი ლ ი“

ციებ-ცხელება შეეყრება მსოფლიოში ყველაზე ლამაზი მეტროს მგზავრებს (მხედველობაშია მოსკოვის მეტრო), ვერავინ ვერ გაიგებს, ვინ იყო ამაში დამნაშავე“.

ამასვე ამტკიცებს ინგლისური გაზეთი „ნიუ სტიტსმენი“: „შირთული იარაღიც კი ძველდება, არის უფრო ულტრათანამედროვე და ეფექტური საშუალებები, რომელთაც ძალუბთ მთელ კონტინენტზე გაავრცელონ ციმბირის წყლული, ჭირი, სოლერა, ბოტულიზმის მიკრობები, მოსკონ მოსავალი, გამოიწვიონ, დაწყებული გულის რევადან — ლეტალურ ბოლომდე!..“

ძნელია, ეჭვი შეგეპაროს ამ საშინელების სისწორეში, რადგან მართო მისი წაკითხვითაც კი ეწყება კაცს გულის რევა. ამინდის შეცვლასაც კი ცდილობენ სამტროდ მესამე მსოფლიო ომის შესუქურები, რომელნიც, სამწუხაროდ ამინდს ქმნიან კაპიტალის სამყაროში!



— გვიშველეთ, ექიმო! ისე განვიფარდა სკლეროზი, რომ სულ არ ახსოვს, რა დღე აყარეს მეორე მსოფლიო ომში! შურნალი „ნი ა ნ გ ი“

აშშ-ს სტრატეგიული ავიაციის ყოფილი სარდალი ტ. ჰაუერი თავის „გადარჩენის გეგმაში“ ასეთ შეუნიღბავ აზრს „ისერის“: ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დამყარდეს ფაშისტური რეჟიმი და დაიწყოთ თერმობირთვული ომი. მირჩევნია, მკვდარი ვიყო ვიდრე წითელი!“ რა გაეწყობა, ასეთი კაცი მართლა იქით ჯობია იყოს, ვიდრე აქეთ — მისი თანადგომა შეურაცხყოფს ნებისმიერ მხარეს!

დედამიწა კი ტრიალებს და ტრიალებს!.. თუმცა ახალი ომის აპოლოგეტები ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკულმა დატრიალებას. ამ უკულმართობის პრეცედენტმა გამოიწვია ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანიაში ისევ აპენდიციტამდე ფეხაწეული დააბოტებენ ყოფილ ჰიტლერულ ჯარისკაცთა ათასზე მეტი კავშირის რევანშისტები; საფრანგეთში, იმ ტრიუმფალური თადის ქვეშ, რომელიც ჰიტლერელმა ბარბაროსებმა წაბილწეს, თავმჯდურად დადინ ფრანგი ფაშისტების ჯგუფები. მართალია, ნათქვამია, რომ ყველა გზა რომში მიდისო, მაგრამ აქ ყველა გზა უნდა იყოს ჩაკეტილი ფაშისტისათვის და მაინც იტალიაში ღია ვაჭრობით იყიდება დუჩეს პორტრეტები და გრამფირფიტები, მისი პარადოქსული, სისხლიანი სიტყვებით; ლონდონში ფლიტ-სტრიტზე, გახსნილია ფაშისტ დამნაშავეთა მემუარებით მოვაჭრე წიგნის მაღაზია; აშშ-ში 100 ფაშისტური ორგანიზაციაა, რომლის საკოორდინაციო ცენტრს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „შავი ინტერნაციონალის“ გაერთიანება; დასავლეთგერმანელმა ჟურნალისტმა **ჰაიდენანტი** მსოფლიო აფერა მოაწყო: რამდენიმე მილიონ მარკად მიჰყიდა ჟურნალ „შტერნს“ ჰიტლერის „მემუარები“. აფერისტ-ჟურნალისტს მაქინაცია გაუგეს და ციხეში უკრეს თავი, ხოლო მილიონებმა ამერიკული „შავი ინტერნაციონალის“ საღარო გაავსეს!..

მსოფლიო ისევ ამოვარდა მშვიდობიანი კალაპოტიდან. არნახული მასშტაბი მიიღეს ნატოს ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტებმა. ასეთი სტრატეგიის მორალურ-პოლიტიკური ფასი კაპიკია, მაგრამ, სამწუხაროდ, სამხედრო ასიგნებანი მართო ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე ასეულ მილიარდ დოლარს შეადგენს!

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ დანგარიშებით, ჯერ კიდევ 1979

წლისათვის, დედამიწაზე უკვე არსებობს სამჯერ მეტი იარაღი, ვიდრე საჭიროა მთელი კაცობრიობის გასანადგურებლად. ამერიკელ კონგრესმენ პ. **საიმონსს** კი ამ სტატისტიკაში თავისი კორექტივი შეაქვს და აცხადებს, რომ დედამიწის ერთ სულ მოსახლეზე 27 სიკვდილი მოდის!..

ბენტგონს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასა და ნატოს მესვეურთ ჰგონიათ,



ნიოფაშისტები ახალ ჰიტლერს ზრდიან!..

შურნალი „პ რ ო კ ო დ ი ლ ი“

რომ არც ესაა ზღვარი — ლაპარაკია ნეიტრონულ ბომბზე, რომელსაც ათასი ეპითეტებით მოიხსენიებენ, როგორც „სუფთას“, „პუმანურს“, „უდანაშაულოს“, „უცოდველს“, რადგან იგი მხოლოდ ადამიანს ერჩის და ხელს არ ახლებს მის უძრავ-მოძრავ ქონებას!..

„ნეიტრონულ ბომბში არაფერი საშიში არაა, — გვამშვიდებს“ ნატოს ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი, ამერიკელი გენერალი **პ. სეიზი**, — თავიდან კაცი ვერაფერს ვერ იგარძნობს, როგორც ჩვეულებრივ რენტგენზე გაშუქების დროს. პირველი ეფექტი, დოზის მიხედვით, შეიძლება იგრძნო 1 წუთის, საათის, ან დღის შემდეგაც კი. დაგეფულებათ სისუსტის გარძნობა, თავბრუსევა, გაგიჭირდებათ სუნთქვა, დაგეკარგებათ ჭამის მადა, დაგეწყებათ თმის ცვენა, შერე-სისხლის დენა, გონების დაკარგვა და... დიდი-დიდი, სიკვდილი!“ თითქმის ასე მთავრდება ეს „სანუგეშო“ სიტყვა. უფრო დააკონკრეტა ნეიტრონის ბომბის მოქმედების ხასიათი და რადიუსი ერთმა ამერიკელმა სტრატეგმა: „მას ისეთი ზუსტი მიზანი აქვს, შეუძლია, წმინდა პეტრეს მოედანზე ისე განადგუროს რუ-

სული **ჯავშანსატანკო დივიზია**, რომ იქვე არ დააზიანოს „სისხტის კაპელა“.

ამ ამაზრუნენ სტრატეგიაში და ცრუ თეორიას სარკასტული კომენტარი გაუკეთა ერთმა ინგლისურმა გაზეთმა: „ლაპარაკია თერმობირთვული იარაღის ლოკალიზებასა და შეზღუდულ მოქმედებაზე — ეს იმას ჰგავს, თქვა, ეს ქალი ცოტა ორსულადაა!“

ფაქტი ფაქტად რჩება — მსოფლიოს ისევ დენტის სუნი უდის!.. ყველაზე დიდი „შეიარაღება“, რომელიც ომის გამჩაღებელთა გამაღებულ შეიარაღებას უნდა დაუპირისპირდეს, ესაა ჩვენი პლანეტის კეთილი ნების ადამიანების პოლიტიკური სიფხიზლე, ერთსულოვნება, რათა არ დაუსვან მესამე მსოფლიო ომი! მშვიდობის ბურჯია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და მთელი სოციალისტური ბანაკი, რომელიც დარაჯად უდგას მშვიდობას!

ომის გამჩაღებლებს ებრძვის ხიშტთან გათანაბრებული მწერლის კალამი და მსატვრის ფუნჯი — საბჭოთა სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის ფლაგმანი „პროკოდილი“, 19-წევრიანი დიდი სატირულ-იუმორისტული ოჯახის წევრი, მისი სეხნია „ნინაგი“.

**პიზო ოშიაკა**



დასავლეთ გერმანიაში იჩეკება ნაცისტური ბარტყები

დასავლეთგერმანული ყვერული



I

ტკივილიან გულის ზარით  
გამარჯვების დასკანს ვგზავნი!  
არ ჩავენაცრდით, არ დავივსით,  
სამადლოც ვვაქვს არავისი!  
ვანარცხებდით სიკვდილს სარმით,  
ამაყი ვარ მეც, თქვენსავით  
ამ ვარდებით, ამ მაისით!

II

დაიგრავანა სვასტიკის —  
ამ უნილბო ასპიტის —  
შავი ელვა-რკალი..  
ახლაც მოჩანს იმათი  
ცოფიანი სიფათი,  
ცოდვიანი კვალი...  
საოცარი ის კია, —  
როგორ ურცხვად იმკიან  
სხვის მოწეულ სამკალს!  
არ ეღირსათ ცხოვნება,  
როდი მოჰგავს ცხოვრება  
ფიურერის კაკანს!..

III

არა ტაშით იოლით, —  
უნდა პოვო გმირობით  
უკვდავების ვიზა!  
ჩაიფერფლა ამ აზრით,  
ეჰ, რამდენი რამაზი  
და რამდენი მირზა!..  
გაგეტანა შენც ლელო —  
ჯერაც გაუმხელელო  
სიყვარულის ნიჭო!  
მარადიულ სავანეს —

სად გითხრიდნენ სამარეს —  
პირტიტველა ბიჭო?!

IV

დუშმანს გზა-გზა „ურევდი“ —  
ტყვიით დააპურებდი  
(ან დაგენდო რისთვის?!)  
მოღელილი გულ-მკერდით,  
სამშობლოსთვის სულს ლევდი, —  
ანუ სტალინისთვის!  
„ჰაილ“ უკვე ყვინთავდა  
მონგრეული ყბითა და  
უღღური საგზლით!..  
შეუკურთხე რამდენი,  
გაზრდილიც და გამზრდელიც,  
ჩააცურე სხვა გზით!

V

მტკვრისა ხარ და ალაზნის,  
მოგონებამ მრავალგზის  
სულიც გადაჭვალა! —  
რად გყოფნიდა მცირედი?! —  
შენ რომ გაიცინებდი,  
ჭახჭახებდა ჭალა!..  
ლივლივებდა ცისკარი!..  
რომლის ტოტიც იყავი, —  
როდი სჭრიდი იმ ხეს!  
ემაგ ხსოვნა-სანთელით,  
კვლავ ქართველობს ქართველი,  
შენი გენიც ილხენს!..

VI

სიტყვა — ყალყზე დამდგარი!  
რწმენაც გქონდა სხვაგვარი!

მოგონება — ელდა!..  
რა სიმწრით და რა ლოცვით,  
მოგელოდა ორმოცი  
გრძელი წელი — დედა!..  
კი არ გამოიფიტა,  
ხედავ?! — წამოიჩიტა  
სხვა თაობაც შენი!  
შენ ეს კარგად იცოდი! —  
ასეთია სიცოცხლის  
ყველა გადამრჩენი!


VII

ლაცობით და ვისკით,  
კოსმოსური რისკით  
უკვე წაიცეტეს  
პერშინგების სროვა!..  
„შენც სუ!“ — არ გამოვა,  
„ჩვენც სუ!“ — მით უმეტეს!  
ამ უიღბლო იღბლით,  
კვლავ მშვიდობის ნიღბით  
აჟღარუნებს ატომს?!  
რას ესწრაფვით, — გვიკვირს, —  
ორბიტალურ სიკვდილს?!  
დედამიწის ნახტომს?!  
VIII

მიაყურადებ პლანეტის ქოშინს,  
ცერებზე, ცაო, დგანარ და იწევ!  
ბუდეს ნუ მოშლი, —  
მშვიდობას ომში  
ნულარასოდეს ნულარ გაიწვევ!

ზაზა კაციაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა



# ბერლინელი დალაქი

რაინსპარიკმანერი ფრიდრიხ შმიდტის ვაჟთარაქი



## ორიოდე სიტყვა ვაჟთარაქის აპტორზე

ფრიდრიხ შმიდტი — მესამე რაინის ყველაზე პოპულარული პარიკმანერი — უცვლელად ემსახურებოდა როგორც ჰიტლერს, ასევე მთელ მის პარტიულ და სამხედრო ელიტას, რისთვისაც რაინსპარიკმანერის უნიკალური ტიტული მიენიჭა. ნიურნბერგის პროცესზე გაირკვა, რომ შმიდტი ბუნების მიერაც იყო დაჯილდოებული „უფრო მეტით, ვიდრე უბრალოდ კარგი მანქანის მკობელი“.

შმიდტიმ სელიდან არ გაუშვა ამ ჯილდოს სარფიან საქმეში დაბანდების შანსი — მისი მეზობლების წიგნი — „ბერლინელი დალაქი“ — ბესტსელერად, ხოლო თავად მილიონერად იქცა. და მაინც მეზობლისტიკა შმიდტისათვის შემოსავლის არც მთავარი წყაროა და არც ერთადერთი: რაინსპარიკმანერი წლების განმავლობაში ბუჯითად აკროვებდა და ახარისხებდა სხვადასხვა რანგის ნაცისტთა თმების კოლექციას და „ცივი ომის“ პერიოდში მან გახსნა მაღაზია-მუზეუმი, სადაც ფანატისკოსო რევანსისტებსა და ნეონაციტებს ფანტასტიკურ ფასებში სთავაზობენ: „ჰიტლერის თმა — 1939 წლის ნიმუში“ — „ჰიტლერი — 1945“, „გერინგი — 1941“, „ჰიმლერი — 1943“ და ა. შ.

გთავაზობთ „ბერლინელი დალაქის“ ფრაგმენტს

## ორიოდე სიტყვა ვაჟთარაქის აპტორისაგან

სშირად მეკითხებიან, მიფიქრია თუ არა ჩემი საქმიანობის ზნეობრივ მხარეზე. როგორც ერთხელ უკვე განვაცხადე ნიურნბერგის ტრიბუნალის წინაშე, თავიდან არიფერი ვიცი ჰიტლერის ნაცისტობის შესახებ და სრული უეჭველობით თვლიდი მას ადვილობრივი სატელეფონო კომპანიის აგენტად. ხოლო როდესაც, ბოლოს და ბოლოს, შევითვქვე ეს თავზარდამცემი სიმართლე, გვიანლა იყო, უკვე ველარაფერს ვიხამდი: ჯერ ერთი, ექსტრაქლასის საპარიკმანეროს მოწყობა საქმაოდ ძვირი დამიჯდა და მასში დაბანდებული თანხის ამოგებაზე ასეთ სარფიან კლიენტურაზე უარის თქმა გაკოტრებას უდრიდა და მეორეც — მესამე რაინის ხელმძღვანელობასთან ყოველდღიურმა საქმიანმა ურთიერთობამ გამიღვიძა საკუთარი პიროვნების ისტორიული როლისა და მნიშვნელობის მძაფრი შეგრძნება. ჟრუანტელი მივიღიდა ტანში, როცა წარმოვიდგენდი, რომ ჩემი სამართლებრივი ხელის ერთ გაქნევას შეეძლო მეორე მსოფლიო ომის ბედი გადაეწყვიტა!..

ერთხელ, როდესაც ომის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა, განვიზრახე ფიურერის ყელზე მჭიდროდ შემოხვეული ზეწარი ოდნავ მომეშვა, რათა ბეწვები ზურგში ჩასცვენოდა, მაგრამ ბოლო მომინტში ნერვებმა მიმტყუნეს!..

ერთ მშვენიერ დღეს ჩემს საპარიკმანეროსთან, (კიონიგბტრასეს, სახლი № 127) ჰიტლერის ვეება „მერსედესი“ რომ არ გამოჩნდა, გულმა რეჩხი მიყო. ფარსავად ხომ არ არის-მეთქი საქმე და არც შევმდგარვარ — შუადღისას სასწრაფოდ გამომიძახეს ბერსტესპადენში.

შევაყვი თუ არა ოთახში თავი, ჰიტლერი აღელვებული მომვარდა. „როგორ ფიქრობ, ქილვაშები მომიხდება? მე ჯერ კიდევ არაფერი ვიცი იმის შესახებ, რომ ჩარლი ჩაპლინს სასამართლოში

უჩივლია ჰიტლერისთვის, უღვაშები მომპარაო და ფიურერი, რომელსაც ამქვეყნად ყველაზე მეტად პლაგიატობაში მხილებისა ეშინოდა. სასოწარკვეთილი ეძებდა თავისი ფიზიონომიის განუმეორებლობის შენარჩუნების გზებს და ამ ძიებამ მიიყვანა ქილვაშების, ანუ ბაკენბარდების იდეამდე. ეს ოფიციალური ვერსიაა, თორემ „ახლსმუსელი იდეა ფიურერს „პარტიგენოსე“ ბორმანმა ჩააწავსა სინამდვილეში, ბორმანმა, რომელიც ისეთი დიდი ზეგავლენით სარგებლობდა ჰიტლერზე და ისეთი ნდობით, რომ მას უფრო ადრე ჰქონდა ახლად გაკრევილი ფიურერისათვის შეხედვის უფლება, ვიდრე ეს უკანასკნელი თვითონ ჩაინებდავდა სარკეში. ჰიტლერის კითხვამ ძალიან დამაბნია, მაგრამ, შპეერის ხარხარმა გამომიყვანა მდგომარეობიდან. ჰიტლერი განიხილდა: „მე აქ სასაცილო ს ვერაფერს ვხედავ, ჰერ შპეერ! მე სერიოზულად ვფიქრობ, რომ ქილვაშები დამამაშვენიებენ“. გერინგიც, ეს თვითდაჯერებული ტაკიმანსარა, იმწამსვე დაეთანხმა: „ბაკენბარდებიანი ფიურერი? ბრწყინვალე იდეაა!“ შპეერი ვაჟთარაქი იყო. ის საერთოდ გამოირჩეოდა პირდაპირობით და ერთგულებით და დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ხოლმე ფიურერის ვარცხნილობას: „ქილვაშებს თუ მოუშვებთ, ჩერჩილს დემსგავსებთ!“ ჰიტლერი დაიბნა: „როგორ? ჩერჩილმაც მოუშვა ქილვაშები?! როდის?! როგორ?! რამდენი?“ დოქტორი გებელსი ეცა ტელეფონს, მაგრამ აღმირალ კანარისს ტელეფონი გამოურთო და კანარის ჩიტების გალობით ტკებოდა (ეს თვითვე მიაბმო საპარიკმანეროში). დარეკეს კალტენბრუნერთან, მაგრამ არც მას აუღია ტელეფონი, რადგან პასიანსი ჰქონდა გაშლილი და კარტს აბრუნებდა იმის იმედით, იქნებ მიუღერის ხრიკები ამოვიცნო. მიუღერი კი ამ დროს მას კარის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდა და, ცხადია, თავის კაბინეტში არ ყოფებოდა. მხოლოდ შტიეცი არ მოშორებია ტელეფონს, მაგრამ ვეულებს, ჰიტლერის რჩევით, მასთან დარეკვისაგან თავი შეიკავა (შემდეგ გაირკვა, რომ სწორადაც მოქცეულა, რადგან ამას შეიძლება უარყოფითად ემოქმედა სტალინისა და ჩერჩილის მომავალი მოლაპარაკების მსვლელობაზე).

ბოლოს გადაწყვეტი, დაკავშირებოდნენ ესესის რაინსფიურერ ჰიმლერს, რომელიც ჩვეული არ იყო ბერსტესპადენში გამოძახებას, რადგან ჰიტლერს გულს უკლავდა იმისი ყურება, თუ სადლის დროს როგორ იტყებოდა ხომლეტი პიმლერი ჩანგვალს, პირის ნაცვლად, ლოყაში, ან ცხვირში. პიმლერმა მაშინვე მიატოვა საბალო ცეკვის გაკვეთილი და ფიურერთან გამოცხადდა. გაღიზიანებულმა ჰიტლერმა კითხვა შეაგება ის-ის იყო შემოსულ ესესის რაინსფიურერს: „რა სა შვრება ჩერჩილი?! უშვებს ქილვაშებს, თუ არა?!“ პიმლერმა უპასუხა, რომ თუმცა ჩერჩილთან დაახლოებულ წრეებში ბევრს ლაპარაკობენ მის განზრახვაზე, მიუშვას ქილვაშები, მაგრამ ეს არაოფიციალური ლაპარაკია და ჯერ პარლამენტში ეს საკითხი არ განუხილავთ. ისე კი მოსალოდნელია, თუ იგი მაინც გადაწყვეტს ქილვაშების მოშვებას, ისინი იქნებიან საშუალო სიგრძისა და აუცილებლად ორმხრივი! ჰიტლერმა გამწარებით დაარტყა მაგიდას მუშტი. ყველაზე ვხვდებოლით, რომ აღმირალ დეინიციის მიერ დარდანელის ბლოკადაზე მეტად, ინგლისისათვის კონტინენტიდან სათიანი პირსახოცების მიწოდების შეწყვეტა დამოკიდებული იყო იმაზე, ვინ ვის დაასწრებდა ქილვაშების მოშვებას — ჩერჩილი ჰიტლერს, თუ ჰიტლერი ჩერჩილს. გენერალური შტაბის სსდომაზე გამოუსწორებელმა ოპტიმისტმა გერინგმა განაცხადა: „ფიურერის ქილვაშების ზრდის დაქაჩრება შეიძლება, თუ გერმანია შესძლებს მთელი თავისი ინდუსტრიული ძლიერების ამ ფრონტზე თავმოყრას“. ფონ რუნდშტემა განაცხადა: „შეცდომა იქნებოდა ქილვაშების მოშვება ერთდროულად ორ ფრონტზე! ჩემო ფიურერ, მთელი ყურადღება მივიქციოთ ერთს, მაგრამ გავზარდოთ იგი სოლიდურ ზომებამდე! ჰიტლერმა მიუგო: „მე თქვენია აღარ მჯერა! განსოვთ, თქვენ ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინ მირჩევდით, გამეზარდა ფრჩხილები მხოლოდ ერთ ხელზე. მე კი, მაღლობა გერინგს, არ დაგიჯერეთ და სწორადაც მოვიქვეი! ახლა ათივე თითზე ათათ სანტიმეტრიანი ფრჩხილები მაქვს“. რიბენტროპსაც უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ჰიტლერმა არ აცალა: „ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი და ჩემი პარიკმანერის პირადი საქმეა! განა ასე არაა, ფრიდრიხ?“ შემდეგ გებელსი თავისი პრობანანდის დამსახურებად თვლიდა, რომ ჩერჩილმა გადაიფიქრა ქილვაშების მოშვება და ეს მიმივე ტვირთი მარშალ მონტგომერის დააწვა მხრებზე. მაგრამ მე ხომ შესანიშნავად ვიცი, რომ ეს ცოლ პირადი დამსახურება და გმირობა ჰესისა (რომელიც ჩემს ფულ ძალიან უყვარდა, რადგან მწერად ჰესში ქრეოდა), ვინც საკუთარი ინიციატივით საგანგებოდ გადაფრინდა ლონდონში, რათა ჩერჩილისთვის გადაეთქმევიენებინა ქილვაშების მოშვება და ეს საკითხიც ჩემს საპარიკმანეროში გადაწყდა.

გადმოქართულია ვინაილ ქურდიანმა



ვუკაცვინ სოფალ ნორიოს საშუალო სკოლის უფილი მოსწავლეების — შინმოსვლელი ბავშვის ხსოვნას.

რა ამბავია ნორიოს, რა ზეიმი და ზეწამი?! ხომ არ ამღერდა, ნეტავი, ერთად ათასი ლერწამი?!

ან იქნებ, შავმა მერცხალმა, ელვა რომ მოსდევს ფრთებისა, ამბავი ჩამოიტანა ომში წასული ძმებისა?!

შინმოსვლელი ბიჭებო, რა შორი გზაა თქვენამდე! თქვენი გმირობის დასტურად ეს ნათლის სვეტი ელავდეს!

წამოდექ-წამოიხედეთ, დრო-ჟამს გამოსცდით ეკლიანს! ეს ძველი თქვენი შინ მოსვლის, შინ დაბრუნების ძველია..

ვერც სიყვარული იგემეთ, ვეღარც — ოცნების სინაზე!.. თქვენ ხომ ამ სკოლის მერხიდან სანგრებში გადაინაცვლეთ?!

არც გაგამტყუნებთ არავინ, ფიქრისთვის როდი გეცხლათ! თქვენი მოსწავლის ჩანთები საველე ჩანთამ შეცვალა..

ზოგჯერ მოსწავლის სენია, სწავლას თუ უუობს სიანცე! ომის მრისხანე გამოცდა ხომ ჩააბარეთ ფრიადზე?!

დღეს კი გარს შემოგხვევიან ბავშვები, როგორც პეპლები! თქვენს წინ თავდახრით დგებიან ის თქვენი მასწავლებლებიც..

სად გშთანთქათ ომის ხანძარმა, სად არის თქვენი საქვალე?! სკოლამ თუ ძმობა გასწავლათ, თქვენ მას ლოდინი ასწავლეთ!..

ამ საპატიო დაფაზე თქვენს მშრას ზვდები აზრიანს! ეს დაფა — ოცი მოსწავლით — ყველანავე წყნარი კლასია!..

ისევ ერთად ხართ და დუმილს ლუკმაპურივით იზოგავთ!.. ეს — თქვენ გიკითხავთ გაკვეთილს ჭალარა მარადისობა!..

თუმც რა ხანია არ ჩანხართ, თუმც დაგვანგვიათ ბეჭთარი, თქვენი ეს მზე ჩახჩახა, თქვენი სუნთქვა ეს ქარიც!..

ეს ნისლიც თქვენი ფიქრია, მთებს შეფხრეწილი ამ დილით, თუ სვედიანი პატარძლის ნალოდინევი მანდილი?!

ოცნი იყავით! ოცივემ ერთი იწამეთ მიზანი! მამულს შეწირეთ სიცოცხლე, ვით გაფრენილი ისარი!..

გულს მიწვავთ, მაგრამ ტულშივე რწმენაც რეკს ფოლადისანი: „კიდევაც დაბრუნდებიან ალგეთს ლეკები მგლისანი!..“

ოთარ ვალაშვილი

# სიგუარა

ნოველა

ფრას ჰოფმანი უველაფერს შეიგვია, რასაც კი შეიძლება ადამიანი შეგუებოდა, მას შემდეგ, რაც იმ ავბედითი ორმოცდახუთის ცივ დასაწყისში კურტი დაბრუნდა შინ, თუკი იმას დაბრუნება ეთქმოდა საერთოდ.

ქალი იმასაც შეურიგდა, კურტმა შორეულ ბრაზილიაში გადახვეწის წინადადება რომ მისცა, და ბარე ორიოდ ათეული წელიწადი იქ გაატარეს. კურტის უსაფრთხოება მოითხოვდა ამას.

შემდეგ ისე მოხდა, სინათლით დამფრთხალი თავები რომ გადაიკარგებინ და ბინდის ჩამოწოლისას კვლავ გამოყოფენ თავებს სიბრძნეებიდან — კურტი ვიღაცებს მოაგონდათ. გაიხსენეს, მოიკითხეს, კაცად სცნეს!..



ამ გარდაქმნისადმი შეგუება გაჭირვებას და სხვათა კარზე წაწალზე მეტად გაუძენილდა ფრას ჰოფმანს, მაგრამ მას ვინღა ეკითხებოდა — მთავარი იყო, რომ კურტმა იპოვა თავისი თავი.

— ერთიანი გერმანიის ხვალისდელი დღე!.. — ბუბუტუტებდა ნეოციტური თავყრილობიდან დაბრუნებული შეწარხი-შებული კურტი.

— დიახ, კურტი, მაგრამ ახლა დაძინების დროა! — რბილად შენიშნავდა ფრას ჰოფმანი.

— ძილმა მოთენთა გერმანია! — ბოზოქრობდა კურტი.

— ბოროტებამ! — კვლავ რბილად შენიშნავდა ფრას ჰოფმანი, მაგრამ კურტი ამას არ ღაგიღვდებოდა. იგი თანდათან ახალ-ახალი შეკრებების, თავყრილობებისა და ორგანიზაციების ცენტრალური ფიგურა ხდებოდა.

— მომავალი გერმანიის ძლიერება ამერიკაში იქედება! — გაჰყვიროდა კურტი. გადიოდა დრო. კურტის აღწევნას საზღვარი არ ჰქონდა. ფრას ჰოფმანს ქიანტველას ბოლო სტადია აგონდებოდა: სიკვდილის წინ ფრთები ამოსდიოდა, გაეგონა.

— ამერიკული რაქება „ემიქსი“ ჩვენს დასაყრდენია! — არ ცხრებოდა კურტი.

...და უეცრად კურტმა ისე განიცადა ევოლუცია, მრავლისმომსწრე ფრას ჰოფმანიც კი გააკვირვა ამ გარდატეხამ. კურტი ფსიქოლოგიური ლიტერატურით დაინტერესდა და დაინტერესდა არცთუ უბრალოდ.

მესამე რაიხის სიამაყე და ყოყლოჩინა ახალგაზრდების კერპი ჩვეული ჭიუტობით ემიტოლავებოდა წიგნებს, მაგრამ, როგორც ჩანდა, მისთვის საჭიროსა და საინტერესოს ვერა და ვერ მიაგნო ლიტერატურაში, რის გამოც იძულებული გახდა ექიმს ხლებოდა.

— ღამლამობით, თითქოს მშვიდად რომ მძინავს, სხეულის ნაწილები ამიჩანებდებიან ხოლმე!.. — შეხივლა.

— ეს ჰალუცინაციის ნიარსახეობაა, ბატონო ჩემო! — პაციენტის დამშვიდება სცადა ექიმმა.

— მაგრამ ისინი სწორს მეუბნებიან, თითქმის იმას, რასაც სადღაც ღრმად და ყრუდ თავადაც ვგრძნობ და განვიცდი. წუხელის წინ ღამით, მაგალითად, ფეხი დამესიზმრა, ჩემი მარცხენა ფეხი, იგი სადღაც კურსკის მანლობდა და დასაფლავებული. წუხელ მარჯვენა ხელი ამიშხედრდა, ის, მოგესხენებათ, პრადასთან ახლო მარხია სადღაც... ამ დილით კი თვლი ვიხილე, დაუმარხავი დამარჩა, სწორედ მაშინ ამომივარდა, ხელი რომ დაკვარაგე!..

— ო, ეს უფრო სერიოზულია! — თქვა ექიმმა.

— ერთი იმათთვის მოგასმენინათ, ბატონო ექიმო, რას არ მეუბნებიან, რას არ მაკადრებენ!

— მაინც რას მეუბნებიან, ბატონო კურტი?

— რას არა, ბატონო ექიმო! მაგალითად, წუხელ ახალგაზრდა ნეოფაშისტების ყრილობიდან დავბრუნდი, სიმართლე გითხრათ, კი მაგარი სიტყვით გამოვედი და ცოტა შევესვი კიდევ. ჰოდა, მარჯვენამ, სწორედ იმან, დაკარგულმა, ისეთი ალიყური მომპაქრა, ღრანტი კინალამ მომქცა: შენაო, თავად არაფერი გაქვს დასაკარგავი, სხვებზე იფიქრეო! ნუთუ შეიძლება ასეთი რამ ნახო ზმანებში? ნუთუ მართლაც სიზმრად შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი რამ?!

— არა, ბატონო კურტი! დაბეჭითებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ნამდვილად არ არის სიზმარი, ამას გონების გამოფხიზლება ჰქვია!

— მაშ, ეშველება, ბატონო ექიმო, ჩემს სხეულებას? გამიგონია, თუ ექიმი სწორ დიაგნოზს მიაკვლევს, ავადმყოფობაც დაძლეულიაო! რითი უნდა ვიმკურნალო?

— სიმშვიდით, ჩემო კურტი! სიმშვიდითა და კურსკისა და პრადის მიდამოების ხშირი მოგონებით!.. ეს უებარი წამალი იქნება თქვენთვის!

დავით ასპურაძე



# სოხი-მხე ჰაჩისაში!

**პართული საფრონტო** გაზეთი „**ყირიმის საბრძოლო**“ თვალსაჩინო ადგილს უთმობდა სატირას, იუმორს, კარიკატურას და, საერთოდ სიცილს, როგორც მრისხანე იარაღს. გაზეთში იუმორის განყოფილებას წარმართავდა რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ანტონ კელენჯერიძე. ის თავის გარშემო იკრებდა ფრონტელ იუმორისტებს, კარიკატურისტებს, ფელეტონისტებს, რომლებიც მტრის წინააღმდეგ მიმართავდნენ სიცილის პასუხსაც.

მძაფრი ბრძოლების გასაჭირში ანტონ კელენჯერიძე იხარჩუნებდა ჯანსაღ განწყობილებას, იცინოდა და ჩვენც გვაცინებდა. ომის ციებ-ცხელების დროს, როცა სიკვდილი ყოველ ნაბიჯზე გვისაფრდებოდა, ანტონს არ ტოვებდა იუმორის გრძნობა. იგი გვახსენებდა **3. ი. ლენინის** გამოჩინაობას, **ა. მ. გორკის** რომ მიმართავდა: „ეს კარგია, რომ თქვენ შევიძლიათ იუმორისტულად მოვაპყროთ მარცხს! მე კარგად მესმის იუმორი“.

ჩემს საფრონტო არქივში შემონახულია ანტონ კელენჯერიძის ერთი იუმორისტული წერილი, რომელიც მან 1942 წლის მარტში ქერჩიდან გამოუგზავნა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის სტილისტებს – **შალვა გამყრალიძეს** და **ნიკოლოზ სეველიძეს**. აი ნაწყვეტი იმ წერილიდან:

„ღრმად პატივცემულნი, უფალნი ჩვენნი, ძვირფასნი და ნეტარ-მოსაგონარნი შალვა და ნიკოლოზ! მოგიკითხავთ აწფრონტელნი მას ყირიმსა შიგან სალაშქროდ წასულნი განსადევნად ურჯუკისა მის მტრისა პირაძლისა. ვართ დამთენილნი ჯანმრთელად და მტკიცედ, ვითარცა კაენი სტამბოლისანი და ტყვიანი ყირიმისანი. ვიდრედუ რათა მას ცეცხლისა ხაზს შინა, მოგვეცეთ მასალანი საგაზეთონი, და ვბეჭდავთ ჩვენს საფრონტო გაზეთსა შინა და განვაბტკივებთ უნარიანობასა ბრძოლისასა სპათა ჩვენთა!.. გვაკლია მსოლოდ თვალთა სილვაი თქვენთა, აგრეთვე ტკბილშესასმელნი სასმელნი და საჭმელნი ჩუენი ქვეყნისანი და თუ ისურვებთ და რაიმესა მსგავსსა ამისა გამოგვიგზავნით, შევექცევით!.. დაშით ჯანმრთელად მრავალკამიერ. 19. 3. 42 წ. ქერჩი“.

ასეთ მხიარულ, გამამხნევებელ წერილებზე ანტონიც და სხვებიც ფრონტზე ლებულობდნენ გულგამბობ ბარათებსა და საჩუქრებს შინ დარჩენილთაგან.

„ყირიმის საბრძოლოს“ ჰქონდა რუბრიკა „**აქაქალ გულში**“. ამ რუბრიკის ქვეშ დაიბეჭდა **ნ. ზლოის**, „**საშიდელი სიზმარი**“, „**ორი რუმინელი გენერალი დაპა**“, **ი. ზანის** „**გაბელნი და გიგინი**“, **ნ. ზარიანის** „**შავი ჭირის ბაჟილა**“, **ი. სელ-ვინსკის** „**ვიშალი ლაქია**“ (ყველა ეს სატირული ლექსი თარგმნა რაჰვან მარგინამ).

ძველმა ნიანგელმა **ალღარ ალღარსანამ** – **ალქსანდრე მადულარიამ**, რომელიც მთარგმნელად მუშაობდა ჩვენს საფრონტო გაზეთში, თარგმნა **დ. ზასლანსკის** პაჟულები „**პიტლერის აპტიმეაროლოგი**“. მასში ეწერა:

„**პიტლერის ყველაზე არასასიამოვნო მოვალეობას წარმოადგენს მორიგი სიტყვების წარმოთქმა. მას ტრამპის ყოველგვარი საშუალება მოეხსო. დუმილს ამჯობინებდა, მაგრამ იძულებულად გასდებოდა ელაპარაკა. და ილაპარაკა – მე, მე და მე! არ არსებობს გერმანია, არ არსებობს მსოფლიო, არსებობს მხოლოდ პიტლერი!** მისი მთელი სიტყვა გამსჭვალულია მწუსარებით, სიმწრით, შელანქოლით. ეს ავტობიოგრაფია კი არა, ავტონეკროლოგია. მთელი სიტყვა დაცულია საფლავეზე წარმოთქმული სიტყვის სტილით. პიტლერი თითქოს თავის ახალგაზრდულ საფლავეთან დგას, ნაცნობ სახეს დაჰყურებს და თვალცრემლიანი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა შესანიშნავი კაცი იყო იგი – ადოლფ პიტლერი!.. გერმანიას ჯერ არასოდეს მოუსმენია ასეთი მტირალა სიტყვა!“

პიტლერი სავესებით წინდახედულად მოიქცა, როცა თავისი სასოტო ნეკროლოგი შეთხზა. სხვა ვინმე ამას არ იზამს“.

ეს იყო 1942 წლის თებერვლის დამდეგს, „პიტლერის ავტონეკროლოგი“ სანგრებში ხელიდან ხელიში გადადიოდა!..

იმავე ალექსანდრე მალულარიამ თარგმნა „**როგორ იდღესასწაულეს შობა გერმანელმა ჯარისკაცებმა**“. მასში ნათქვამი იყო:

„**სატირულ ფურცელში, რომელიც მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს აღმოაჩნდა, ეწერა: „სახელმწიფო სამინისტროს ცნობა შობის დღესასწაულის შესახებ.**

1. **იოსები** – გაწვეულია არშიაში.

1. **მარიამი** – მსახურობს მოწყალების დად.

3. **ზრმა იოსო** – ვვაკუირებულია საპაერო თავდასხმების სამიმო-როების გამო.

4. **ალმოსავლელ მოგზავს** აკრძალული აქვთ შემოსვლა.

5. **მფაქსიანი შრომის ბეგარას** ისდიან.

6. **ბათლემის ვარსკვლავი** დაბნულდა.

7. **თივა და ჩალა** რეკვიზირებულია სამხედროების მიერ.

8. **ზაბა**, როგორც ყველა სხვა გეჯა და გობიე, გადაეცა ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიას.

9. **გომურში** დადგმულია სახუნიტო ქვემეხი.

10. **პირაბზე** ლაპარაკი აკრძალულია.

ხელს აწერს ოთხი მოციქული: **ყოვლისშემძლე ადოლფი, ცრუპენტლა გებლსი, ავეულ-ანწლი პიმლერი, გაქცეული ჰესი**“.

ასე სუნთქავდა ქართულ საფრონტო გაზეთში სატირა და იუმორი. ჩვენი რედაქციის მუშაკებს დევიზად ჰქონდათ **პ. ლუნარსკისა და ვლ. მანიპოვსკის** სიტყვები: „სიცილი ნიშანია ძალისა, სიცილი ნიშანია გამარჯვებისა!“ „სიცილი ყველაზე საყვარელი სახეობის იარაღია!“

ამ უჩვეულო „სანიტარსა“ და „იარაღს“ ჩვენ, ფრონტელები, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით და მტრის წინააღმდეგ მიემართავდით.

**სარგო ყარაშვილი,**

ქართული საფრონტო გაზეთის „**ყირიმის საბრძოლოს**“ ყოფილი მუშაკი.



ილუსტრაციები **დ. ზარაფიშვილისა**.

# სა ვიზიტო, სა გაზიარებო!

იუმორისკა

ორი აგვისტოსათვის ჩვენი ნაწილი უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის მისაღობებთან განლაგდა. გადამწყვეტი იერიშისთვის ვემზადდებით. შეტევა დილის ცხრა საათზე დაიწყო. ელვის სისწრაფით შევიჭვრით კორპუსში და მეორე სართულის დერეფანი დავიკავეთ. სანამ მოწინააღმდეგე გონს მოვიდოდა, აუდიტორიებში დავიჭირეთ პოზიციები. ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე აშკარა გახდა საგა-

ბის კარების წინ განვლაგდით. მოულოდნელი იყო ჩვენი ჩანაწიქრი მტრისთვის. როგორც კი საწყობის კარებთან აჩნაუნდა გასაღები, მოწინააღმდეგეს თავს დავესხით. სანამ მტერი გონს მოვიდოდა, ჩვენ უკვე საწყობში ვიყავით. ათ საათსა და ოცდაათწუთზე წუთზე შედმეტ ფასებში გასაყიდად გადაღებული საქონელი თავის ფასში ხელთ ვიგდეთ!..

ყოფი. ბევრი სისხლი დაიღვარა იმ დღეს, როგორც მტრის, ისე ჩვენი მხრივ, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ! ბევრი ტყვედ ჩავიგდეთ, ბევრმა გაქცევით უშველა თავს!..



იანვრის შუა რიცხვებში ძლიერი ყინვები დაიჭირა. ტემპერატურა მინუს 20-25 გრადუსამდე დაეცა. ოჯახის უფროსმა

ნებათიარ მოვლენებთან წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში დიდი სიმამაცე გამოიჩინეს ჩვენი ნაწილის მეომრებმა. გამანადგურებელი დარტყმა მივაყენეთ მტრის სწვდასწვა ანტიოდურ ჯგუფებს: ბიუროკრატებს, საქმოსნებს, ლოთებს... მაგრამ მექრთამეთა ქვეგანაყოფები გვიწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას. არაერთხელ საპასუხო იერიშითაც დიდი ზარალი მოგვაყენეს. ოცდასამ ივნისს, თექვსმეტ საათსა და ათ წუთზე, ალყაში მოვაქციეთ მექრთამეთა ძირითადი ქვეგანა-



დამიბარა და მიბრძანა: „ხვალ დილით, ამა და ამ ქუჩიდან რძეს და რძის ნაწარმს მოიტანო!“ „არის!“ — მივუვებ და დილის ხუთ საათზე ღია ცის ქვეშ რძისა და რძის ნაწარმის რიგში ჩავდექი. საშინელი ქარ-ყინვის გამო ერთ ადგილას უმოძრაოდ დგომა შეუძლებელი იყო. დავიწყებ ადგილზე სტუნვა, ისე რომ რიგიდან არ ამოვვარდნილიყავი. ამან საშუალება მომცა, შემენარჩუნებინა სიცოცხლისუნარიანობა და გავმკლავებოდი ყინვას!.. ბევრმა ვერ გაუძლო სტიქიას და იქვე დაეცა. ბევრმა გაქცევით უშველა თავს!.. რიგმა რომ მომიწია, გათენებული

იყო. ხელდაშვებებული დავბრუნდი ნაწილში. უფროსმა მადლობა გამომიცხადა.

მასწოვს, ივლისი იყო. ახალაშენებული კორპუსი, რომელშიც ჩვენი ოჯახის ნაწილები უნდა განლაგებულიყო, ხელოსნებს ჩაეგდოთ ხელში. უახლესი ტექნიკით კბილებამდე შეიარაღებული მტერთან ბრძოლა არც ისე ადვილი იყო. იერიში იერიშზე მიგვექონდა. დიდხანს გასტანა ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თანამემამულის დედამ ჩაიცვა მაშინ შავი და უზარმაზარი მატერიალური ზარალი განვიცადეთ, საბოლოოდ მაინც ჩავიგდეთ კორპუსი ხელში!..

სისხლის ფასი დაგვიჯდა ყოველი გოჯი ჩვენი საცხოვრებელი ფართისა!..

ასე ვიბრძოდით, ასე გავიმარჯვეთ! ასე ვიბრძოდით, ასე გავიმარჯვეთ!

ნოვალი ბარათია



მოცლო თემების სათაურები. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ავამოქმედეთ „შარგალკები“!.. რა ხერხებით არ ვუბნევდით მტერს გზას. ბოლოს ხელჩართულ ბრძოლაზე გადავდეთ. ბევრი თანამემამულე გმირულად დაეცა!..

არ ვიცი, როგორ გადავრჩი!..



ჩვენი „ქიგულეებისათვის“ სათადარიგო ნაწილები უნდა გვემოვა — ავტონაწილების მალაზიის საწყობზე უნდა მიგვეტანა იერიში. დილის ათ საათზე ავტონაწილების მალაზიის საწყობ-

ომგადახდილონო, მეც მინდა ავწიო თქვენი სასმისი და მოგილოცოთ სუყველას ენ ბედნიერი მაისი!

ამაგლარებო, ვისურვებთ ამ დღეს კვლავ შევხვდეთ მრავალჭერ და თქვენი ქება-დიდება წვდებოდეს მუდამ მაღალ ჰერსი

თქვენთვის სოცურუნველყოფა სულ სიყვარულში დნებოდეს და კურორტების საგზურით უფრო ხშირ-ხშირად გრგებოდეთ!

ქველა სიკეთე გეკუთვნით, შეღაწათით და ურიგოდ! (ეს რომ სუყველას ახსოვდეს, არ იქნებოდა ურიგო!)

ტრანსპორტში ფეხზე არ იდგეთ, უცებ დაგიომონ ადგილი, არ გეჭიღოთ ჩასვლის დროს და არ გატყინონ ძვალ-რბილი

თქვენც არ გაწვალდეთ ჩემსავით (ვარ საჩივრებით ვართული: ახალ ბინაში გათბობის და სასმელი წყლის ნატრული)

## საღვებრძოლო ომის ვებარანებს

ხანებიდსადგურს ვუთვლი, რომ ზოგჯერ ეწვიოს მუხიანს (აქ ჭაზს უკრავენ ბუზები, ვირობები დავლურს უვლიან!).

ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ მეცა ზარ თქვენი კოლეგა! იმ ომზე უფრო დამალა ჩვენს სახლმშარტველთან ბრძოლებმა!..

ფრონტზე ვარ გამოწრთობილი და ამ ბრძოლებსაც გადავიტან!.. მოგესალმებით სუყველას ლოცვით და ნახვის ნატვრითა!

### ომის ინვალიდის ჩივილი

კარგა ხანია, რაც გახსნეს ჩვენი სპეცმაღაზიები, მაგრამ იქ ვერას იშოვო, თუ არ გყავს დიდი „ძიები“

მიველაქუცე გამყიდველს, შევაშეკე ქებით, ღირსებით!.. ამ სიბერეში მინდოდა, ერთხელ მეც მცმოდა ჭინები!..

უარი მტკიცა სასტიკი, ხელეები გაასავსავსა!.. მას შემდეგ ვერსად მივაგენ ჭინის ასავალ-დასავალს!..

შვილმა კი ვილაცისაგან ორას მანეთად იყიდა!.. „ომის ვეტერანს გკობნიო!“ აქეთ მომძანა რისითა.

თუმც მალაზია გაგვიხსნეს ინვალიდთათვის ბრწყინვალე, შიგ ყველას ვხედავ შემოსულს, ვერ ვხედავ მხოლოდ ინვალიდს!..

უკვე შევეშვი იქ დგომას, დროს უქმად ვკარავ, მგონია, რადგანაც ვიცი, რომ იქაც იმპორტულეებზე ომია!..

ივანე ოსმანიშვილი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

# შენიშვნები გაზეთისათვის

დიდი სამამულო ომის პირმოა „ფრონტული იუმორი“, რომელმაც თითქმის მთელი პარტიულ-საბჭოთა პრესა მოიარა. მას თავისი უცვლელი საბრძოლო საგუშაგოები ჰქონდა ფრონტულ გაზეთებში, საიდანაც მტრის გამანადგურებელი ეს ომანიანი სიცილი სწვდებოდა ცეცხლის სახს, ფრონტსა და შურსს..

„ნიანგში“ მუდმივი იყო რუბრიკა — „ფრონტული გაზეთებიდან“. ამ რუბრიკის ქვეშ დაბეჭდილ მასალებს დღესაც დენთვის სუნი ასდის და განსაკუთრებული სიმახვილით გამოირჩევა.

გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი:

1942, № 12

## გონივრული მომჭირნოვა

— ფრუ ელგა, რატომ არ სტირით ომში მოკლულ ქმარს?  
— ცრემლებს ვინახავ, რათა სიხარულის ცრემლები დავღარო, როცა პიტლერი ჩაძაღღდება!

— დედა, როცა ფაშისტებს „პიტლერულ ძაღლებს“ ეძახიან, სომ სწყინთ?  
— ფაშისტებს არა, ძაღლებს — კი!

„წითელი კავალერისტი“

ოფიცერი: — ჯარისკაცებო, თქვენ გარემოცული ხართ... ფიურერის სიყვარულითა და მზრუნველობით!  
ჯარისკაცი: — ბატონო ოფიცერო, უმჯობესია გვიტხნათ, როგორ დავაღწიოთ თავი ამ გარემოცვას!

„სტალინელი“

1942, № 13  
შთაფრთხილების კალა

— როგორი გაქცევა სცოდნიათ!..  
— ეს იმიტომ, რომ მათ მოდგმაში ყველანი განთქმულნი არიან გაქცევით: მათი ბაბუა 1918 წელს წითელ არმიას გაექცა ფსკოვიდან..

„სამშობლოსათვის“

— მე არ მეცმის, რომელმა სულელმა დანიშნა მთავარსარდალად ის ბრიყვი ბრაუნინი!  
— სწორედ იმ სულელმა, რომელმაც ახლა გადააყენა ფონ ბრაუნინი და მის მადვირად პიტლერი დანიშნა!

„მამულისათვის“

ქორი საბჭოთა სნაიპერი საბრძოლო შესვენების დროს სიცილით გულს უბრუნებენ ამხანაგებს.

— მე ყოველთვის ვბრუნავ, რომ მკებნარებმა არ შეაწუსონ ფრიცები და ამისათვის ვზოცავ..

— მკებნარებს?  
— არა, თვითონ ფრიცებს!

„სამშობლოს დამცველი“

1942, № 14

— ჩვენი ასეულის ახალი პარიკმახერი კარგად პარსავს?  
— მერე როგორ! გუშინ, როგორც კი ამოიხედა პანსმა მიწურიდან, იმ წუთში მოპარსა... თავი!

„სამშობლოს სადარაჯოზე“



მშვიდობა შენდა, დედაშიწავ,  
ან და მარადის!  
შენს სამშვიდობოდ მე ვიქცევი  
კალმად და სიშტად!..  
„მემენტო მორი“ — ეს გახსოვდეს  
კუბოს კარამდი  
ძახილის ნიშნად მე აქ დავესვამ  
ძახილის ნიშანს!

## ჰოროსკოპის გარეშე

ყოფილი ვერმანტის ყოფილი ასტროლოგისათვის ვილაც დამთხვეულებს უკითხავთ: შექმლო თუ არა რაიმე სხვა პირობებში ვერმანტის დროშებსა და ჭარისკაცებს მოსკოვში შეედწიათო. მოხუც ასტროლოგს ასეთი პასუხი გაუცია — ვარსკვლავების მიხედვით შექმლოთ ისე, როგორც შექმლეს: დროშებს — ნადავლის, ხოლო ჭარისკაცებს — ტყვეების სახით.. დროა, შეიგნოთ ვარსკვლავების ესა და სხვა უტყუარი ჩვენებაო.

შემდეგ ეს უტყუარი ჩვენებებიც ჩამოუთვლია: ვინც მსოფლიო ბატონობას ეპოტინება, იმას საკუთარიც უპატრონოდ რჩება ომის მძიმეელი განადგურებას მოიძიებს! ელვისებური გამარჯვების იმედი შენს დაცემით იფუშება! ომისწინა სასიამოვნო სიზმრები საშინელი კოშმარით ცხადდება! ვინც მოღვაწეობს „ჰაილ-ჰაილის“ ღრიალით იწყებს, ის „ჰაი-ჰაისა“ და „ვაი-ვაის“ ზრიალით ამთავრებს! ავალსახსენებელი ნახოსტენით სახელდებულ სწრაფვას ობტში ჩაჯარდნა და ოთხში ამოღება მოსდევს! ვინც ისტორიის შეუვალ კანონებს ივიწყებს, იმას ისტორია ისევე აუგებს ანდერძს, როგორც აუგო ვერმანტს!

ღაბრძენებულ ასტროლოგს არც ის დაუმაღავს, რომ მისი უღავოდ ჭეშმარიტი დასკვნები ჩამოყალიბებული იყო არა ჰოროსკოპის დახმარებით, არამედ საბჭოეთის ვარსკვლავებზე დაკვირვების, 40 წლის ფიქრისა და ისტორიის გაკეთილებების ღრმა ანალიზის საფუძველზე.

აკოლონ ბასილია

7-8

ნახ. 3. მორჩაძისა



85-250  
 საქართველო  
 ზინორიოთეკა

საბიროსა და იუმორის  
 ჟურნალი „ნიანგი“ № 11  
 (1993) ივანისი, გამოდის  
 1923 წლის ივანისიდან.

მთავარი რედაქტორი  
 ზაურ გომეზაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი  
 (პასუხისმგებელი მდივანი),  
 ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე  
 ბარათაძე, ჭორის ვურჯუ-  
 ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-  
 მალ ლოლუა, ნოდარ მალა-  
 ზონია (მხატვარ-რედაქტო-  
 რი), ალექსანდრე ხაშსონია,  
 ბენუან სინარულიძე (მთავარი  
 რედაქტორის მოადგილე),  
 ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
 წივწივაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
 მიხეილ კუხალაშვილი

გადეცა ასაწყობად 8. 5.  
 85 წ. ხელმოწერილია დსა-  
 ბეჭდვად 4. 6. 85 წ. ქა-  
 ლაღდის ზომა 60X90<sup>1/2</sup>  
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-  
 ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-  
 მომცემლო თაბახი 1,9, სა-  
 ქართველოს კვ ცკ-ის გა-  
 მომცემლობა, ლენინის, 14.  
 შეკვეთა 1059 უე 05495  
 ტირაჟი 143.000 ჟურნალი  
 გამოდის თვეში ორჯერ.  
 რედაქციის შემოსული მა-  
 სალები ავტორებს არ უბ-  
 რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
 თბილისი-8, რუსთაველის  
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
 რედაქტორის — 99-55-54,  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყოფილებათა გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაკების — 99-02-38,  
 მდივან — მემანქანის —  
 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტის-  
 კისი ჟურნალი «НИАН-  
 ГИ» (ნა გრუზინსკომ  
 რაკისე) ტბილისი, პრ. რუ-  
 სთაველი № 42. ივდათელ-  
 სთვო ცკ კპ გრუზინი,  
 ტიპოგრაფია ივდათელსთვო  
 ცკ კპ გრუზინი, ტბილი-  
 სი, ულიცა ლენინა № 14.

ფასი 20 კაპიკი.  
 იმდექსი 76137

ლაკარაკოგან თავდაცვაჟე და თავდასხმისათვის ემჟაღებინაქი

КОНТРОЛЬНЫЕ  
 КОПИЯ

